

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

**რამდენიმე უცნობი იერუსალიმური ფრაგმენტის
ილენტიფიკაციისათვის***

წმინდა მიწას და, კერძოდ, იერუსალიმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქრისტიანული კულტურის ისტორიაში. “უფლის ქალაქად“ წოდებული იერუსალიმი უძველესი დროიდან იზიდავდა ქრისტიან პილიგრიმებსა და მოგზაურებს; ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების წარმომადგენლები აქტიურად მიიღებდნენ იქითკენ, რომ დამკვიდრებულიყვნენ წმინდა მიწაზე და იერუსალიმსა თუ ზოგადად, პალესტინაში არსებულ წმინდა ადგილებზე ან მათ უშუალო სიახლოვეს ეცხოვრათ ქრისტიანული ასკეზის წესების შესაბამისად და ეწვევებინათ ქრისტიანული სულიერების კონკრეტული მაგალითები.

წმინდა მიწის ქართული სამონასტრო კოლონიის ისტორია, წერილობითი წყაროების თანახმად, იმ დროიდან იწყება, როცა იერუსალიმში ჩავიდა ქართველი უფლისწული, ცნობილი როგორც პეტრე იბერი (V ს.), რომელმაც იერუსალიმსა და მის შემოგარენში ააშენა ეკლესია-მონასტრები და სასტუმრო სახლი პილიგრიმებისა და გლახაკებისათვის.¹ ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნემდე ქართველი ბერ-მონაზვნები წმინდა მიწის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ინტერნაციონალურ ეკლესია-მონასტერში ჩანან (პალაფრა, წმ. საბას ლავრა, უფლის საფლავის ეკლესია და სხვ.); სხვადასხვა დროს ქართველების მფლობელობაში იყო აგრეთვე მთელი რიგი ეკლესია-მონასტრებისა (იერუსალიმის წმ. თევდორეს, წმ. ჯურის, წმ. ნიკოლოზის, წმ. თეკლეს მონასტრები და სხვ.). წმინდა მიწის ქართული სამონასტრო კოლონიის მოღვაწეთა სამწიგნობრო-ლიტერატურული ინტერესების ამსახველად გვევლინება ქართულ ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია, რომელიც ამჟამად იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაშია დაცული. იგი აერთიანებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (სირია, ათონის მთა, წმინდა მიწა) მდებარე სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში გადაწერილ ხელნაწერ ნუსხებს, სულ 161 ერთეულს.

იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის სამეცნიერო შესწავლის ისტორია იწყება 1845 წლიდან, როდესაც შეიქმნა იერუსალიმში დაცული ქართული ხელნაწერების პირველი, თუმცა კი არასრული და ძლიერ ზოგადი ხასიათის მქონე კატალოგი, შედგენილი ნ. ჩუბინაშვილის მიერ.² ამავე კოლექციის ხელნაწერების აღწერილობის შედგენაზე სხვადასხვა დროს იმუშავეს აგრეთვე ქართულ სიძველეთა ცნობილმა მკვლევარებმა: ა. ცაგარელმა, ნ. მარმა, ამერიკელმა ქართველოლოგმა რ. ბლეიკმა.³

1996-1997 წლებში იერუსალიმში ყოფნისას ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ცალკეულ ნუსხებსა და ფრაგმენტებს,⁴ რომლებიც ამავე კოლექციაშია დაცული. ხელნაწერი ფრაგმენტები მექანიკურად არის გაერთიანებული და თავმოყრილი დიდი ზომის სხვადასხვა კონვერტებში. თითოეული ასეთი კონვერტი რ. ბლეიკის აღწერილობაში წარმოდგენილია ხელნაწერების გვერდით, ცალ-ცალკე ნომრებით.⁵ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთ ასეთ კონვერტში, კერძოდ, №157 ერთეულში⁶ გაერთიანებულ სხვადასხვა ფრაგმენტებს შორის დაცულმა ორმა ხელნაწერმა ფრაგმენტმა, რომელთა შინაარსის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ისინი წარმოადგენდნენ IV საუკუნის დიდი კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებს, უფრო ზუსტად, გრიგოლ ნაზიანზელის ქართული კრებულების ფრაგმენტებს.

ცნობილია, რომ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულენოვან ტრადიციას მდიდარი და საინტერესო ისტორია გააჩნია. გრიგოლის თხზულებათა უძველესი ქართული თარგმანები შესულია იერუსალიმური ლექციონარის საფუძველზე აღმოცენებულ და უძველესი იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველ აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ კრებულებში, ე.წ. მრავალთავებში, რომელთა ფუნქციონირების არავალი V-X საუკუნეებით არის განსაზღვრული. უფრო გვიან, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართველი

*გულწრფელი მადლობა გვინდა გადავუხადოთ წინამდებარე წერილზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შემსწავლელი ჯგუფის წევრებს, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებს: ქ. ბეზარაშვილსა და თ. მარგიანს; განსაკუთრებით კი ამავე ჯგუფის წევრს, თ. ოთხმეზურს, რომელმაც თავისი შენიშვნებითა და რჩევებით უაღრესად დიდი დახმარება გაგვიწია ამ პუბლიკაციის მომზადებისას.

მთარგმნელების – გრიგოლ ოშკელის (X ს.), ექვთიმე ათონელის (X-XI სს.), დავით ტბელის (XI ს.), ეფრემ მცირეს (XI ს.) მოღვაწეობის შედეგად გრიგოლ ნაზიანზელი ქართული ნათარგმნი სასულიერო მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ავტორად გადაიქცა, რომლის თხზულებებსაც მკვიდრი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულ აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ და ჰომილეტიკურ კრებულებში.

ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში ცალკე ჯგუფს ქმნის გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველი კრებულები, რომლებიც შექმნილია ეფრემ მცირეს თარგმანების ბაზაზე.⁷ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ამ უკანასკნელის რედაქციით არის წარმოდგენილი გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველი ოთხი კრებული.⁸

როგორც უკვე ითქვა, Jer. 157-ში მექანიკურად გაერთიანებულ სხვადასხვა წარმომავლობის მქონე ფრაგმენტებს შორის ჩვენ მივაკვლიეთ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი კრებულების ორ ფრაგმენტს. ერთი მათგანი მხოლოდ ერთ ფურცელს შეიცავს, მაშინ როცა მეორე საკმაოდ დიდი მოცულობისაა და გრიგოლ ნაზიანზელის რამდენიმე თხზულების ტექსტს წარმოგვიდგენს. რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფრაგმენტების არსებობა აქამდე არ ყოფილა აღნიშნული, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მათი ზუსტი შედგენილობის გაცნობა.

Jer. 157-ში დაცული ერთფურცლიანი ფრაგმენტის ტექსტის შესწავლამ გვიჩვენა, რომ იგი გრიგოლ ნაზიანზელის ერთ-ერთი თხზულების, კერძოდ კი მისი XIX სიტყვის (“სიტყუათა მიმართ და ივლიანე განმასწორებელისა თანამოსწავლე მისსა ყოფილისა“ = Or. 19) დასაწყის ნაწილს შეიცავს. გრიგოლ ნაზიანზელის ეს სიტყვა ქართულად ორი თარგმანითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი ექვთიმე ათონელს მიეკუთვნება, მეორე კი - ეფრემ მცირეს. ჩვენი ფრაგმენტის ტექსტის შედარებამ ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირეს რედაქციებთან ცხადყო, რომ საქმე გვქონდა გრიგოლ დვთისმეტყველის Or. 19-ის ეფრემ მცირესეულ რედაქციასთან.

როგორც ცნობილია, Or. 19 გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ საკითხავთა რიცხვს მიეკუთვნება. ტრადიციულად, ეს საკითხავი ამავე ავტორის დანარჩენ 15 ლიტურგიკულ საკითხავთან ერთად ცალკე კრებულს ქმნის გრიგოლ ნაზიანზელის ბერძნულენოვან ხელნაწერებში. აქვე დავუმატებთ, რომ ამ კრებულის ერთ-ერთ, ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოგვიდგენს ის ხელნაწერი ნუსხები, რომლებშიც გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვა ქრისტეს შობის კალენდრის მიხედვით არის გაწყობილი.⁹ ამ ტიპის კრებულებში გრიგოლის Or. 19, რომელიც ქრისტეს შობის წინააღმდეგის საკითხავს წარმოადგენს, რიგით პირველ საკითხავად გვევლინება ხოლმე.¹⁰ გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველი კრებულების ეს ბერძნული ხელნაწერული ტრადიცია უცვლელად გადმოიტანა

ქართველმა მთარგმნელმა ეფრემ მცირემ – ცნობილია მის მიერ თარგმნილი 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველი კრებულები, რომლებიც XIX სიტყვით იხსნება.¹¹ ჩვენი წინასწარი ვარაუდით, Jer. 157-ში დაცული ერთფურცლიანი ფრაგმენტის დედნისეული ნუსხა სწორედ ამ ტიპის კრებულების ერთ-ერთი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

მოვიყვანოთ აღნიშნული ფრაგმენტების აღწერილობას:

I. გრიგოლ ნაზიანზელის Or. 19-ის ფრაგმენტი (დაცულია Jer. iber. 157-ში) 1ფ., XII საუკუნე, ქალაქი, ნაწერია ორ სვეტად, ნუსხურით; სათაური და სახედაო ასო ასომთავრულით, სინგურით. 1x შემკულია ორნამენტით, რომლის შუა ნაწილშიც წარმოდგენილია ამ საკითხავის თარიღი, შესრულებული სინგურითვე (“დეკენბერსა ოცდაოთხსა წინა დღესა ქ-ს შობისასა“); ხელნაწერის კიდებზე მოთავსებულია სქოლიოები, ძირითად ტექსტსა და სქოლიოებს ახლავს პირობითი აღნიშვნები; 1v გაცხობველებულია - ამ გვერდის ქვედა ნაწილზე დაკრულია ქალაქი, რომელზეც წარმოდგენილია განსხვავებული ხელით ნაწერი ტექსტი.

F. 1r-1v: Or. 19 - სიტყუათა მიმართ და ივლიანე განმასწორებელისა თანამოსწავლე მისსა ყოფილისა (=PG 35, 1044 B3 usque ad verba ... რაითა უკუეთუ დიდ რასმე ჰგონებენ ჩუენთჳს უხესთაესობისაგან შეიკდიმონ ხოლო... (PG 35, 1045 B8).¹²

შენიშვნები: 1. ფრაგმენტის 1r-ზე, ტექსტის ქვემოთ წერია: “ია ფი“, რაც მიგვითითებს, რომ თავის დროზე ამ თხზულებას მთლიანი სახის მქონე კრებულში ეკავა 11 გვერდი.

2. ჩვენი ფრაგმენტის ორივე გვერდზე, აშიებზე მოთავსებულია სქოლიოები. ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში ცნობილია გრიგოლ ნაზიანზელის 16 სიტყვის ეფრემ მცირესეული თარგმანების შემცველი ოთხი ასეთი კრებული. ესენია: Jer. 43, A 109, Jer. 15, Jer. 13. A 109 -ის დასაწყისი ნაწილი, მათ შორის გრიგოლის Or. 19-ის ტექსტი აღდგენილია გვიანდელი, XVIII საუკუნის ხელით, ამასთან, ამ აღდგენილ ნაწილში ხელნაწერს სქოლიოები არ ახლავს; რაც შეეხება Jer. 15-ს, ეს ხელნაწერი თავნაკლულია - აკლია Or. 19-ის დასაწყისი, ანუ ის ტექსტი, რომელსაც ფრაგმენტი შეიცავს. ამდენად, ჩვენს ფრაგმენტზე წარმოდგენილი სქოლიოების ტექსტების დადგენისა და გააზრების თვალსაზრისით ჩვენთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ორი ნუსხა: Jer. 43 და Jer. 13.¹³ გაირკვა, რომ ჩვენი ფრაგმენტისა და ამ ორი იერუსალიმური ხელნაწერის სქოლიოები ერთსადაიმთხვე ტექსტს წარმოგვიდგენენ, უფრო ზუსტად, ჩვენი ფრაგმენტის სქოლიოთა ტექსტი მისდევს Jer. 43-სა და Jer. 13-ში დაცული გრიგოლ ნაზიანზელის Or. 19-ის დასაწყისის კომენტარებს. ჩვენს ფრაგმენტზე წარმოდგენილ სქოლიოებს

ახლავს პირობითი ნიშნები – სქოლიოთა აღმნიშვნელი სხვადასხვა ფორმის გამოსახულებები, შესრულებული სინგურით. ამავე ნიშნებითაა ძირითად ტექსტში აღნიშნული ის ადგილები, რომელთა კომენტარსაც შეიცავს შესაბამისი ნიშნის მქონე სქოლიო. სულ ჩვენი ფრაგმენტის Irv-ზე წარმოდგენილია ცხრა სქოლიო.

3. ფრაგმენტის Irv-ზე დაცული სქოლიოები წარმოადგენს გრიგოლ დვთისმეტყველის კომენტატორის, კესარიის მთავარეპისკოპოსის ბასილი მინიმუსის (ქართული ტრადიციით ბასილი უნდოს) (X ს.) კომენტარებს, რომლებშიც განმარტებულია გრიგოლ ნაზიანზელის Or. 19-ის დასაწყისი ნაწილი, ანუ ის ტექსტი, რომელსაც ჩვენი ფრაგმენტი გვთავაზობს. Ir-ის ზედა ნაწილში, ორნამენტის ზემოთ, მოთავსებულია შესავალი (argumentum), რომელშიც საუბარია აღნიშნული თხზულების დაწერის მიზეზებზე, დანიშნულებასა და აგებულებაზე, რაც, საზოგადოდ, ტიპურია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებისათვის. შესავალი ნაწილი და სქოლიოები ფრაგმენტზე წარმოდგენილია შემდეგი სახით:

F. Ir

argumentum - Inc.: [კვლთ]ა ქონებუ[ლს]ა ამას სიტქ[უას]ა ამის საკითხავისასა... Des.: ...ხარკი ქალაქისა მისისა ანძიანძოდსა.

Comment. (1) - Inc.: მძღავრება [სა]კუთარ არს თ[კ]თღად[გინებ]ული... Des.: ...ვითარ-ესე აწ ესენი ჰყოფენ ტრფივლებითა სიტყუათა მისთათა.

Comment. (2) - Inc.: სიბრძნე არს მეცნიერება საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთად... Des.: ამისთვის ორთათვესვე ერთად თქუა.

Comment. (3) - Inc.: ესრეთ იტყვს, ვითარმედ რომლისათვის იგი თქნ ვითარცა ბრძენსა და კვლოვანსა... Des.: ...გარდამეტებული სიმდაბლმ დიდისა ამის მოძღური[საჲ].

Comment. (4) - Inc.: ნუკუჲ დაჲ საეჭო[ე]ბისათვს სიტყუსა მრავალთა ადგილთა... Des.: ...აჩუჭნოს არაოდეს დამტკიცებითა თვისისა სიტყუსათა.

F. Iv

Comment. (5) - Inc.: ხოლო აწ დაფარულსა საუკუნესა ცხორებასა... Des.: ...ქრისტეს თანა დაფარულ უწოდს.

Comment. (6) - Inc.: ესე არს სახარებისა მიერ თქუმული... Des.: ...რომლისათვს [ყოველი] განისყიდვის.

Comment. (7) - Inc.: მდინარედ და მეთრეჲდ უწოდს აწინდელთა... Des.: ...ხოლო მათ მდგომარედ ზეცისა[ო]ბისათვს და არა-სადა დაცემადობისათვს.

Comment. (8) - Inc.: მიფარულად იტყვს წვისსაებრ ფილოსოფოსთაჲსა... Des.: ... უკუეთუ ამას არა მიყოფ, ბარე ე[სე] მიყავ.

Comment. (9) - Inc.: ამიერ ცხად-ჰყოფს მღუმარებასა თვისსა... Des.: მომხუეელთა (სიც) მათ საწარმართოთა წარიძღუნია.

აღნიშნული ფრაგმენტის შინაარსის გაცნობის

შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენ შევეცადეთ მიგვეკვლია მისი ჰომოგენური ნუსხისათვის. ფრაგმენტის პალეოგრაფიულ და ტექსტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ჩვენი ფრაგმენტის ჰომოგენური ნუსხა უნდა ყოფილიყო ამავე კოლექციაში დაცული ხელნაწერი Jer. 15, რომელიც ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილ გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველ კრებულს წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ხელნაწერი კრებული Jer. 15 თარიღდება XII საუკუნით და შეიცავს ქრისტეს შობის კალენდრის მიხედვით გაწეობილ გრიგოლის 16 საკითხავს.¹⁴ ამასთან, კრებული თავნაკლულია – აკლია რიგით პირველი საკითხავის, Or. 19-ის პირველი ფურცელი.¹⁵ ამ დაკარგულ ერთ ფურცელს, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს Jer. 157-ში დაცული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულების ერთფურცლიანი ფრაგმენტი – როგორც ითქვა, ჩვენი ფრაგმენტის ძირითადი ტექსტი წყდება სიტყვებზე: “...რათა უკუეთუ დიდ რასმე ჰგონებენ ჩუენთვის უზესთაესობისაგან შეიკდიმონ ხოლო...” (იხ. ზევით ფრაგმენტის აღწერილობა); ჩვენი ფრაგმენტის Iv-ზე გაწვეტილ ტექსტს უშუალოდ აგრძელებს ხელნაწერი კრებულის Jer. 15-ის Ir (აქ ვსარგებლობთ ამ დღეისათვის თავნაკლული ხელნაწერის ნუმერაციით): “...უკუეთუ მცირედ რასმე და რაოდენ დირს, სწორ პატივისა თანა-მდაბალ იყვნენ...”¹⁶

ჩვენს მოსაზრებას Jer. 157-ში დაცული ერთფურცლიანი ფრაგმენტისა და Jer. 15-ის ჰომოგენური წარმომავლობის შესახებ მხარს უჭერს აგრეთვე ჩვენი ფრაგმენტის პალეოგრაფიული მონაცემებიც: ფრაგმენტის ზომები, გარეგნული სახე და ხელწერა; მსგავსია აგრეთვე ჩვენს ფრაგმენტზე დაცული ორნამენტის (თავსამკაულის) და Jer. 15-ის ორნამენტების შესრულების, აგრეთვე ამ ორნამენტებში ჩასმული ცალკეული საკითხავების სათაურების გაფორმების მანერაც.

ამდენად, გრიგოლ ნაზიანზელის Or. 19-ის ეფრემ მცირესეული თარგმანის დასაწყისის შემცველი ერთფურცლიანი ფრაგმენტის შესწავლის შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა მონაცემების შედარებამ Jer. 15-ის ტექსტობრივ და პალეოგრაფიულ მონაცემებთან ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართულ ხელნაწერთა იერუსალიმური კოლექციის № 157 ერთეულში დაცული ეს ფრაგმენტი ამავე კოლექციის № 15 ერთეულის – გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფრემ მცირესეული რედაქციის შემცველი კრებულის ნაწილად, კერძოდ, ამ კრებულის რიგით პირველი საკითხავის (Or. 19) Irv-დ უნდა მიეჩინოთ.

II. როგორც უკვე ითქვა, ამავე კონვერტში (ქართულ ხელნაწერთა იერუსალიმური კოლექციის №157 ერთეული) არის დაცული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი უფრო მოზრდილი ფრაგმენტიც, რომელიც ამ ავტორის რამდენიმე თხზულებას შეიცავს. აღნიშნული ფრაგმენტი კონვერტში დაცული იყო ცალკეული, დაშლილი ფურცლების სახით (გარდა ბოლო ნაწილისა,

რომლის ფურცლები ერთიმეორისაგან დაცალკეევა, როგორც ითქვა, ძალიან გაჭირდა). საკითხავთა სათაურების მიხედვით ნათელი იყო, რომ საქმე გეგონდა გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვების შემცველ რომელიღაც კრებული ფრაგმენტთან. მოვიანებით, საკითხავთა შინაარსის გაცნობის შემდეგ გარკვეა ისიც, რომ ისინი ეფრემ მცირესეული რედაქციის საკითხავებს წარმოადგენდნენ. ტექსტის გასამართად და ფურცლების თავდაპირველი თანმიმდევრობის აღსადგენად ჩვენ გამოვიყენეთ ამავე კოლექციაში დაცული და ჩვენს მიერ უკვე მრავალჯერ დამოწმებული ხელნაწერი კრებული Jer. 43 (ფრაგმენტის გვერდების პაგინაცია ჩვენეულია).

სულ ჩვენს ფრაგმენტში წარმოდგენილია გრიგოლ ნაზიანზელის რვა (არასრული სახით) თხზულება. ხელნაწერი ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულია ნესტისა და ჭიკებისაგან, განსაკუთრებით ეს ითქმის ფრაგმენტის ბოლო ნაწილზე – უკანასკნელი ფურცლები იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, რომ მათი გადაფურცვლა და ბოლომდე დათვლა ვერ შეეძლებოდა. ასე რომ, ფრაგმენტის აღწერილობაში, რომელსაც ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ, რიგით ბოლო საკითხავის (გრიგოლ ხუცესის “გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრება“) ჩვენს მიერ მითითებულ დასასრულს (“წყდება“ იხ. ქვემოთ აღნიშნული ფრაგმენტის აღწერილობა) კიდევ მოსდევს დაახლოებით 8-10 ფურცელი.

გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფრემ მცირესეული თარგმანების შემცველი კრებულის ფრაგმენტი (დაცულია Jer. 157-ში)

XII საუკუნე, ქალაქი, ნაწერია ნუსხურით, ერთ სვეტად, 28 სტრიქონად; სათაურები და სახედაო ასოები მთავრულით, სინგურით; რვეულებრივი აღრიცხვის მიხედვით შეიცავს კვ (8r) – ლმ (104r) რვეულებს; აშიებზე ტექსტს ახლავს შენიშვნები, ე.წ. “შეისწავენი“ (25v; 70r; 77r; 101r) და პირობითი ნიშანი (26v).

F. 1r-9v: Or. 14 [გლახაკთმოყუარებისათვის] inde a verbis: “...განმდირდე ნუ სიმდირითა ოდენ, არამედ ღმრთისმსახურებითაცა, ნუ ოქროთა ხოლო, არამედ სათნოებითაცა...” (= PG 35, 892 C9); (Iber. 26, 121).

F. 10r-24v: Or. 16 - სიტყუაა წყლულებისათვის სეტყვსამიერისა (= PG 35, 933 B 2 - 964 A 11).

F. 24v - 27r: Or. 1 (stichometria 108) - პასხადსათვის და დაყოვნებისათვის (= PG 35, 396 A 3 - 401 A 14).

F. 27r - 46r: Or. 45 (stichometria 903) - პასექისათვის სიტყუა მგორე (= PG 36, 624 A 2 - 664 C 1).

F. 46r - 52v: Or. 44 (stichometria 295) - ახალკურიაკისათვის და არისა და ენკენისათვის (= PG 36 (608 A 2 - 621 A 7)).

F. 52v - 63r: Or. 41 - მეერგასისათვის და სულისა წმიდისათვის (= PG 36, 428 A 2 - 452 C 14).

F. 63r - 72r: Or. 15 - მაკაბელთათვის (= PG 35, 912 A 2 - 933 A 14).

F. 72v - 83r: Or. 24 - სიტყუაა მღვდელმოწამისა კუპრიანესათვის (= PG: 1169 A 3 - 1193 C 1).

F. 84r - 104r: Vita (ცხორება და მოქალაქობაა წმიდათაგანისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისა კოსტანტინე(პო)ლელ მთავარეპისკოპოსისა); usque ad verba: “...(ამიერ უკუშ უმრავლესი დუაწლი ზედადართო წმიდასა ამას ძნად საბრძოლველობითურთ საცთურისად...” (= PG 35, 277 B 8 sq.); (Iber. 13, 113).

შენიშვნები: 1. ფრაგმენტის 104 ფურცელს მოსდევს დაახლოებით 8-10 ფურცელი, მაგრამ ისინი იმდენად დაზიანებულია, რომ მათი გადაფურცვლა და ტექსტის წაკითხვა ვერ შეეძლებოდა.

2. ფრაგმენტის 40rv-სა და 41rv-ს შორის ლაკუნაა. აკლია დაახლოებით ერთი ფურცელი.

3. საკითხავების ტექსტებს ახლავს “შეისწავენი“. ფრაგმენტში დაცულია სულ ხუთი “შეისწავე“:

ა) “შეისწავე ხუთი უკმოდ ასოდ“ (25v);

ბ) “შეისწავე აქა, რ მნ ფინეხისთვს ითქმის მამლად, ხოლო მან(ამან) ანნასთვს (დედ)ლად რ ბერძულად ფრიადი განყოფილება აქს მამლად (დედლ)ობისად სიტყუათად“ (70r);

გ) “შეისწავე, რ ბერძული ღმრთისმეტყველი ვანაივე თარგმანსა და მამად ეწერა, არა დედად, არცა მშობელი, ზიარი სახელი“ (77r);

დ) “ნ სხუასა ბერძულსა დედასა სულისა აღდგომილება“ (82r);

ე) “შეისწავე, ვითარმედ არს ბერძულად სა...ვლ...ლ, რომელსა ეტვმოლოგია უწოდიან, ესე-იგი არს მზა-სიტყუაობად“ (101r).

ფრაგმენტის 64r-ზე, ფურცლის კიდეზე მიწერილია: “შეწინიერი“ (ასომთავრულით).

4. ფრაგმენტის 83rv-ზე, გრიგოლ ხუცესის “გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრების“ წინ მოთავსებულია ეფრემ მცირეს ანდერძი:

“დიდება და მადლობა დასაბამსა და სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა წმიდა სამებასა ერთარსებასა, რომელმან სრულ-ყვნა ათექუსმეტნი ესე საეკლესიონი სიტყუანი დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისნი მეოხებითა ყოველადწმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათათა და ღოცვითა ბერისა ჩუენისა საბადისითა, რომლისა ვსენება და ნეტარება საუკუნო იყნ წმიდათა თანა. ამინ.

ლოცვა ყავთ იოვანესთვს ხუცისა მთავარადსისა, რომელმან არა დაგვშურვა თუსი ქალაქი და სსურე(ლ)ად და პური სსზრდელად, თანადგომითურთ თუსით, რათა ესრთ სრულიქმნეს მრავალჟამეული იძულებით ბრძანებად სულიერისა მამისა ჩუენისა ბერისა კურიკე აღექსანდრიელისა კუალად მეორედ ბერძულისაგან თარგმნითა ამით სადღესასწაულოთა საკითხავთათა, რათა ცხად იქმნეს მეძიებელთა მიერ და მაყუედრებელთა, თუ ვითარისა სიღრმისა და სიტყუამოკლეობისაგან ვითარად სივრცედ და განათლებად მიეწინეს ესენი წმიდასა მამ(ასა) ჩუენსა ეფთ(უმეს) დიდისა პავლეს მსგავსად სძითა მზრდ(ელ) ჩუენისა სიწიობისასა და ესოდენად პასა(კა)დ მიმავწვენელსა, ვიდრელა აწ უმტკიცესისა საზრდელისათვის აღვისურვეთ. და უკუეთუ ვპოეთცა ესე, მისთავე ოხათა და

წინადამაშურალობათა არს, რომელსა ვხადი სასოდ ჩემდა და ყოველთა მორწმუნეთა და თქნ ყოველთა სულიერთა შვილთა მისთა, ხოლო ჩემთა უ(ფ)ალთა და მამათა ღოცვთა (ვი)თხოვ ღმრთისაგან (ა)ცოცასა ყოველთა ბრალთა და (უ)მჯულოებათა ჩემთასა. ან.

გვედრები კუადაცა ქრისტეს მცნებისათვის ყოველთა ღმობით ქმნილისა უღმობელად მომსთულებულთა, რადთა უსასყიდლო ღოცვასა მომიცხენოთ მრავალსაღმობიერ(ად) მკვდრი ჯოჯოხეთისაჲ, ყოვლად უბადრუკი მცირე ეფრემ. შემიწყალეთ წმიდანო, შემიწყალეთ და სასოებასა ჩემსა ნუ არცხუენთ“ (83rv).¹⁷

5. ფრაგმენტის გვერდებზე დაცულია სხვადასხვა მინაწერები:

ა) “ღო მოიხსენე მხისახარი ყოფილი ბარ()ბა“ (მხედრულით, 9v).

ბ) “ქ. მე, ფრიად ცოდვილი ბატონიშვილი დომენტი ყოფილი დამიანე შემიწყალე ჯვარო ცხოველო“ (მხედრულით, 9v). აქვეა მოთავსებული მონოგრამა სახელით “დომენტი“

გ) “სულსა მდღღს წითელას ძისა დამიანესა განუსხნე აღდგომასა ქს ღმთისა ... და შეიწყალენ მშობანი მისნი (ნუსხურით, 24v).

დ) “დამიანეს ... ღნ და განუსხნოს სულსა მ(ი)სსა დამაშურალსა მწარედ ცოდვილსა. შენდობა ყავთ, მამანო წწო“ (ნუსხურით, 27r).

ე) არაბულ ენაზე შესრულებული მინაწერი: “ელია, ანას ძე“ (39v)

ვ) “მზრბლს შნ ღნ“ (მხედრულით, 45r).

ზ) “ამისა დამწერალსა დამიანეს შნეს ღნ. ან“ (ნუსხურით, 46r).

თ) “შე ლო მაქსიმე“ (ნუსხურით, ბოლო სიტყვა “მაქსიმე“ დაწერილია მხედრულით; 52v).

ი) “ვერ შეეკმართე რიცხუთა მიდგომად ნუთ... არა კმდეგს“ (მიწერილია ფურცლის კიდეზე ვერტიკალურად, ნუსხურით, 60v).

როგორც ვხედავთ, ჩვენს ფრაგმენტში დაცული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები თავიანთი რაობითა და მიმდევრობით გრიგოლ ნაზიანზელის 16 სიტყვიანი კრებულის ეფრემ მცირესეული თარგმანების შემცველი კრებულების ტრადიციას

წარმოგვიდგენს – ჩვენს ფრაგმენტში დაცული თხზულებები, როგორც წესი, ამ ტიპის კრებულების რიგით X-XVIII საკითხავებს წარმოადგენს (შდრ. ხელნაწერები: Jer 15, Jer 13, Jer 43, A 109, ქუთ. 9 და სხვ.). ამდენად, წინასწარ შეიძლება გვევარაუდა, რომ ჩვენი ფრაგმენტის სახით საქმე გვქონდა ერთ–ერთი ამ ტიპის კრებულის ნაწილთან.

ფრაგმენტის პალეოგრაფიულ მონაცემებზე (მასალა, ტექსტის განლაგება, გადამწერის ხელწერა) დაყრდნობით ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფრაგმენტი ამავე კოლექციის კუთვნილი, გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფრემ მცირესეული თარგმანების შემცველი ერთ–ერთი ხელნაწერი კრებულის - Jer. 8-ის ნაწილს წარმოადგენს. ამ უკანასკნელისა და ჩვენი ფრაგმენტის პალეოგრაფიული მახასიათებლები იდენტურია; ამასთან, ამ ორი დღეისათვის დამოუკიდებელი ერთეულების სახით არსებული ხელნაწერის ჰომოგენურ წარმომავლობაზე მიგვითითებს მათში დაცული რვეულებრივი აღრიცხვის მონაცემებიც: ხელნაწერი Jer. 8 ბოლონაკლული კრებულია:¹⁸ რვეულებრივი აღრიცხვის მონაცემების მიხედვით, იგი შეიცავს 5 - კდ (=1-24) რვეულებს.¹⁹ Jer. 157-ში დაცული კრებულის ფრაგმენტი კი, როგორც უკვე აღინიშნა, შეიცავს კვ - ლწ (=26-38) რვეულებს და 25-ე რვეულის ბოლო ნაწილს.²⁰ ამდენად, გრიგოლ ნაზიანზელის კრებულის აღნიშნული იერუსალიმური ფრაგმენტი ამავე კოლექციის №8 ხელნაწერის გაგრძელებად, მის ბოლო ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ამ ორი უცნობი ხელნაწერი ფრაგმენტის გამოვლენა, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იერუსალიმსა თუ საერთოდ, ისრაელში დაცული მასალების საფუძვლიან შესწავლას შეუძლია ახალი მონაცემებით გაამდიდროს წმინდა მიწის ქართული სამონასტრო კოლონიის ისტორიისა თუ, ზოგადად, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევა.

შენიშვნები:

1. ცნობები პეტრე იბერის აღმშენებლობითი მოღვაწეობის შესახებ დაცულია მისი “ცხოვრების“ სირიულ და ქართულ რედაქციებში (იხ. ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბილისი, 1967, გვ. 229, 231, 235; Petrus der Iberer, Ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des funften Jahrhunderts, Syrische Uebersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie, herausgegeben und ubersetzt von R. Raabe, Leipzig, 1895, გვ. 39. იხ. აგრეთვე ამ გამოცემის ქართული თარგმანი: ცხოვრება პეტრე იბერისა, ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებლები დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1988, გვ. 116).
2. იხ. Описание Крестного монастыря, близ Иерусалима, и некоторых грузинских рукописей, хранящихся в нем, сделанное Н. Чубиновым с 3-4-го по концу мая 1845 года, წიგნში: А.А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. 1, вып. 3, СПб, 1845, გვ. 47-52.

3. ა. ცაგარელმა წმინდა მიწაზე იმოგზაურა 1883 წელს რუსული “პალესტინის მართლმადიდებლური საზოგადოების” ინიაციტივით. იერუსალიმში ყოფნისას ა. ცაგარელი გაეცნო ქართული ხელნაწერების კოლექციას, რომელიც იმხანად იერუსალიმის ჯვრის მონასტერში იყო დაცული. ამ კოლექციის ა. ცაგარლის მიერ შედგენილი კატალოგი, რომელშიც 147 ხელნაწერის აღწერილობაა წარმოდგენილი, იხ. წიგნში: А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, СПб, 1889, გვ. 1-50. 1902 წელს იერუსალიმში ყოფნისას ამ კოლექციის ხელნაწერებს გაეცნო ნ. მარიც, რომელმაც შეადგინა 38 ხელნაწერის აღწერილობა (იხ. ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბუქდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955). იერუსალიმის ქართული ხელნაწერების რ. ბლეიკისეული კატალოგი, რომელზეც მკვლევარი მუშაობდა 1923 წლის 19 დეკემბრიდან 1924 წლის 3 იანვრამდე, შეიცავს 161 ხელნაწერის აღწერილობას, ასე რომ თავდაპირველად სწორედ ამ კატალოგის მეშვეობით შეიქმნა სრული წარმოდგენა ამ კოლექციაში დაცული მასალების შესახებ და დადგინდა იერუსალიმში დაცული ქართული ხელნაწერების ზუსტი რაოდენობა (რ. ბლეიკის მიერ შედგენილი კატალოგი გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემაში. იხ. R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothéque patriarcale grecque á Jérusalem, Revue de l’Orient Chretien, 3-e serie, t. III (XXIII), NN 3 et 4, 1922-1923; გვ. 356-413; t. IV, NN 1 et 2, 1924, გვ. 190-210; t. IV (XXIV), NN 3 et 4, 1924, გვ. 387-429; t. V (XXV), NN 1 et 2, 1925-1926, გვ. 132-153). აქვე დავუმატებთ, რომ რ. ბლეიკის მიერ XX საუკუნის 20-იან წლებში შედგენილი კატალოგი, მიუხედავად იმისა, რომ ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, დღემდე ძალაში რჩება სამეცნიერო მიმოქცევაში, რადგან ამერიკელი ქართველოლოგი იყო, სამწუხაროდ, ბოლო იმ მეცნიერთაგან, რომელთაც საშუალება ჰქონდათ ადგილზე ეკვლიათ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მისი სამეცნიერო აღწერილობის შედგენის მიზნით.
4. ამ წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტით ვიმყოფებოდი იერუსალიმში და ვსწავლობდი იერუსალიმის ფრანგულ ბიბლიურ და არქეოლოგიურ სკოლაში (École Biblique et Archéologique Française de Jérusalem). აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბრიტანელ მეცნიერს ჯ. ვილიკინსონს და საფრანგეთის საელჩოს საქართველოში, რომელთა აქტიური ხელშეწყობითაც გახდა შესაძლებელი ჩემი იერუსალიმში გამგზავრება.
5. სულ რ. ბლეიკის აღწერილობაში ვხვდებით მითითებას ხუთი ასეთი კონვერტის შესახებ. ესენია: ბლეიკის კატალოგის №№ 58, 69, 157, 158, 159 ერთეულები (იხ. R. Blake, დასახ. ნაშრომი, Revue de l’Orient Chrétien, 3-e série, t. III (XXIII), NN 3 et 4, 1922-1923; გვ. 350, შენ. 6).
6. აქ და შემდგომ ჩვენ ვისარგებლებთ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის რ. ბლეიკისეული კატალოგის ნუმერაციით.
7. გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველ კრებულებში განარჩევენ 3 ტიპის კრებულებს: 1. კრებულები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ექვთიმე ათონელის თარგმანებს; 2. კრებულები, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ეფრემ მცირეს თარგმანებს; 3. ე.წ. შერეული ტიპის კრებულები, სადაც ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირეს, დავით ტბელის, გრიგოლ ოშკელის თარგმანები (იხ. ნ. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბილისი, 2000, გვ. 29).
8. ესენია: Jer. 15 (XII), Jer. 8 (XII), Jer. 43 (XII-XIII), Jer. 13 (XIII-XIV) (იხ. თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1988, გვ. 133, 139, 144, 160). დღეისათვის ცნობილია სულ 11 ნუსხა, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებათა ეფრემ მცირესეულ თარგმანებს შეიცავს. მათგან რვა გადაწერილია XII-XIV სს-ში, სამი კი უფრო გვიან, XIX ს-ში (იხ. ნ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35). ამ კრებულთა ურთიმერთმიმართების საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე ნ. მელიქიშვილი, გრიგოლ დვთისმეტყველის 16 ჰომილეტიკური სიტყვის ეფრემ მცირესეული თარგმანი ძველ ქართულ ხელნაწერებში (ტექსტოლოგიური ანალიზი), მრავალთავი, XVIII, თბილისი, 2000, გვ. 203-204. აქვე დავუმატებთ, რომ თავის დროზე ქართულ ხელნაწერთა იერუსალიმური კოლექციის საკუთრებას წარმოადგენდა კრებული P-3, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანებს შეიცავს. კალიპოსის ქართველთა მონასტერში 1040 წელს გადაწერილი ეს ხელნაწერი გადამწერებს შეუწირავთ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრისათვის. 1820 წელს იერუსალიმში ყოფნისას გ. ავალიშვილმა ეს ნუსხა პეტერბურგში წაიღო ჯვრის მონასტერში დაცულ სხვა ხელნაწერთან ერთად (თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70).
9. ა. ერჰარდის თანახმად, გრიგოლ ნაზიანზელის 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველი კრებულები, რომლებიც ქრისტეს შობის საკითხავებით იწყება, წარმოადგენენ აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კოლექციის კრებულების ერთ-ერთ სახეობას (ე.წ. სპეციალურ პანეგირიკონებს), რომლებშიც უძველესი კალენდარული სისტემა არის დაცული (A. Ehrhard, Überlieferung und Bestand der hagiographischen und homiletischen Literatur der griechischen Kirche, II Band, 2 Lieferung, Leipzig, 1938, გვ. 210-214). გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვათა ეფრემ მცირისეული თარგმანების შემცველი ხელნაწერების შედგენილობის შესახებ იხ. მ. რაფაეა, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან (რამდენიმე დაკვირვება გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავების ეფრემისეული თარგმანების შემცველ კრებულებზე), მაცნე,

- (ენისა და ლიტერატურის სერია), 1-4, 1998, გვ. 130-137.
- 10 ამავე თარიღითაა წარმოდგენილი ეს საკითხავი ჩვენს ფრაგმენტშიც. (იხ. ქვემოთ, ფრაგმენტის აღწერილობა).
- 11 მათ რიცხვს მიეკუთვნება ხელნაწერი კრებულები: Jer. 43, Jer. 15, Jer. 13, A 109.
12. თხზულების ტექსტი გამოცემულია. იხ. Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio Iberica, II, Corpus Christianorum, Series Graeca, 42, Corpus Nazianzenum, 9, Turnhout, Brepols Publishers, Leuven University Press, 2000, გვ. 157-223. ჩვენი ფრაგმენტის ტექსტი იხ. იქვე, გვ. 157-162 (ეფრემ მცირის თარგმანი).
- 13 დანარჩენი სამი აღნიშნული ხელნაწერისაგან განსხვავებით, Jer 13 -ში სქოლიოები წარმოდგენილია არა ხელნაწერის აშიებზე, არამედ ბოლოში, ძირითადი ტექსტის შემდეგ (თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164).
- 14 Jer. 15-ის აღწერილობა იხ. იქვე, გვ. 133-138.
- 15 იქვე, გვ. 133.
- 16 შდრ. გრიგოლ ნაზიანზელის Or. 19-ის ტექსტი (იხ. Sancti Gregorii Nazianzeni Opera, II, გვ. 162).
- 17 ეს ანდერძი დაცულია აგრეთვე ხელნაწერში Jer. 13 (იხ. თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163).
- 18 Jer. 8-ის აღწერილობისათვის იხ. იქვე, გვ. 138-140. აგრეთვე R. Blake, Catalogue ..., t. III (XXIII), N 3 et 4, გვ. 371-373.
- 19 იქვე, გვ. 371.
- 20 Jer. 8-ში დაცულ Or. 14-ის ტექსტში ლაკუნა Jer. 8-ის ბოლოსა და ჩვენი ფრაგმენტის დასაწყისს შორის შეადგენს დაახლ. 1 ფურცელს.



Tina Tseradze

*K. Kekelidze Institute of Manuscripts
Georgian Academy of Sciences*

On the Identification of Some Newly Found Jerusalem Fragments

Summary

The Greek Orthodox Patriarchal Library in Jerusalem comprises a valuable collection of Georgian manuscripts. Among these codices are some fragments kept in the envelopes. In one of these envelopes (N157, according to R. Blake's catalogue) there are fragments from various Georgian manuscripts. In this article we consider the identification of two fragments. One of them consists of only one folio and another consists of more. Textological examination of them has evidenced that they are fragments of Gregory of Nazianzus' (4th c.) liturgical collections, translated by a well known Georgian translator Ephrem Mtsire (11th c.). Codicological analysis revealed that the one-folio fragment is the first folio of Manuscript 15 of the Jerusalem collection of Georgian manuscripts, and the other fragment is the final part of Manuscript 8 of the same collection.

